შევინახჩუნოთ თრუსოს ხეობა

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა
თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტისა და
კულტურული მემკვიდრეობის განვითარების
პოლიტიკის ადვოკატირებისათვის

პროექტის ავტორი ანა გელაშვილი

კონსულტანტი ირაკლი მაჭარაშვილი

შემდგენლები:
ნანა ფირანიშვილი
იაგო კაზალიკაშვილი
ლევან ხუციშვილი
ია ჩქარეული
ნიკა დვალი
შავლეგ საბაური

გამოცემა მომზადებული „ლომეკის“ მიერ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „ლომეკი“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

პროექტის შესახებ

2023 წლის თებერვლიდან ლომეკი ***USAID Civil Society Engagement Program***-ის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს **”ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარების პოლიტიკის ადვოკატირებისთვის”.** პროექტის მიზანია ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვა და ხეობის ლანდშაფტის შენარჩუნება. არასამთავრობო ორგანიზაცია ლომეკი აქტიურ მოქალაქეებთან და ექსპერტებთან ერთად ხეობის ისტორიული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დასაცავად იმუშავებს და მოითხოვს თრუსოს დაცული ლანდშაფტის შესახებ 2021 წლის კანონის აღსრულებას.

თრუსოს დაცული ლანდშაფტის რუკა



პირობითი აღნიშვნები

საზღვარი:

- სახელმწიფო
- მუნიციპალიტეტის

დაცული ტერიტორია:

- ეროვნული პარკი
- დაცული ლანდშაფტი
- ზურმუხტის ქსელი

შემსრულებელი:

გის და დზ
საკონსულტაციო ცენტრი
“გეოგრაფიკი”

თრუსუს დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 7007 ჰექტარი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. სახელმწიფოსა და კერძო პირების გულგრილი დამოკიდებულება დროსთან ერთად ანადგურებს ძეგლებს. აღნიშნულ ფონზე განსაკუთრებულ პრობლემად რჩება დღემდე პირვანდელი სახით შემორჩენილი თრუსოს ხეობა, რომელშიც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის ბუნებრივი და კულტურული გარემო. ხეობაში ოცზე მეტ ისტორიულ ნასოფლართან ერთად შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ტიპური მთის საცხოვრებელი კომპლექსების ნიმუშები, რომელთა უმეტეს ნაწილს არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ხეობა ესაზღვრება ოკუპირებულ ტერიტორიებს, რის გამოც 2008 წლიდან მიწების რეგისტრაციის თაობაზე გამოცხადებული იყო მორატორიუმი. 2020 წელს, მორატორიუმის მოხსნის შემდგომ გარკვეულმა ჯგუფმა მიწების მითვისების მცდელობა დაიწყო, რასაც საჯარო რეესტრში წარდგენილი ათობით განცხადება მოწმობს. რეგისტრაციის შემთხვევაში კერძო პირების საკუთრებაში გადავა ათობით უნიკალური ისტორიული ობიექტი, რომელთაც დღეისათვის არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შესაბამისად, მათზე რეგულაციების არ არსებობის პირობებში, ძეგლებს იერსახის დაკარგვის ან/და სრულად გაქრობის საფრთხე ექმნება.



კონტროლის და მონიტორინგის საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობის პირობებში, ჩვენ მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე ძეგლების მონიტორინგის კუთხით ჩატარებული დაკვირვებამ სავალალო შედეგები აჩვენა: დაზიანდა და დაინგრა არა-ერთი ნაგებობა; დაიკარგა ეკლესიებში დაცული სარიტუალო ნივთები (თასები მნის ხეობის ეკლესიიდან); განხორციელდა ძეგლების თვითნებური შეკეთება, რის შედეგადაც რიგი ისტორიული ობიექტების თავდაპირველი იერსახე დაკარგულია.

თრუსოს ხეობის უნიკალურობიდან გამომდინარე 2021 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“. კანონის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაცვისა და გამოყენების რეჟიმის, ასევე მართვის სისტემის შექმნა და მოწესრიგება წარმოადგენს. ლანდშაფტის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოდ კი განსაზღვრულია წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონის ამოქმედებიდან დღემდე ვხედავთ არაერთ დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე გადაცემულია შესაბამისი უფლებები, დაგვიანებით შეიქმნა დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი და წარმომადგენლობითი ორგანო - საბჭო: მართვის ცენტრის ფორმირების პროცესში არ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და მათთან თანამშრომლობა; თრუსოს ხეობაში თვითნებურ მშენებლობებზე არ მოხდა შესაბამისი რეაგირება. აღსაღნიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, რაც ლანდშაფტის მართვისა და განვითარების მთავარ შინაარსობრივ წყაროს უნდა წარმოადგენდეს.

რა არის ჩვენი საქმიანობა?

მიმდინარე პროექტის ფარგლებში მოხდება თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის კონცეფციის შექმნა, პრობლემატიკის ფორმულირებასა და გადაჭრის გზების ძიებაში მოსახლეობის ჩართულობა, საერთო ხედვების პოპულარიზაცია და ლობირება.

ამისათვის დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან ერთად ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- პედაგოგებისა და მოსწავლეების ინფორმირება და გააქტიურება;
- თრუსოს ხეობაში მოსწავლეთა ბანაკის ორგანიზება;
- შეხვედრები სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- ექსპერტებსა და ადგილობრივი მოსახლეობას, ასევე თრუსოს ხეობის სამიზნე ჯგუფებს შორის თემატური შეხვედრები;
- მედია-კამპანიის წარმოება, მედია კემპინგ-ტურის მოწყობა

რა არის პროექტის საბოლოო მიზანი ?

თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გარემოს, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვის უზრუნველყოფა;

მუშაობის დაწყება თრუსოს დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავებისთვის; ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით თრუსოს დაცული ლანდშაფტის მეგობართა ჯგუფის, როგორც თანამონაწილეობისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნა.

რა არის დაცული ტერიტორიები ?

დაცული ტერიტორია არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია ან აკვატორია, სადაც ბუნების, ბუნებრივი რესურსებისა და იქ არსებული კულტურული ფენომენების დაცვა და მათთან დაკავშირებული საქმიანობა მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია ექვსი კატეგორიის დაცული ტერიტორია: ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალ-მხრივი გამოყენების ტერიტორია.

საზოგადოდ, დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ ბუნების (ანუ ბიომრავალფეროვნების) შენარჩუნების, სახეობათა გადარჩენის, გარემოს დაცვის უნივერსალური და ყველაზე ეფექტურ საშუალებას. თუმცა, დაცული ტერიტორიის დაარსება არ ნიშნავს ავტომატურად, რომ გარემოს და ბიომრავალფეროვნების დაცვა არის გარანტირებული. ძალზე მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიის მართვის ფორმის სწორად შერჩევა რა დონეზე უნდა ერეოდეს ადამიანი ბუნებაში იმისათვის, რათა კარგად შესრულდეს დაცული ტერიტორიის მთავარი დანიშნულება. სწორედ ამას ემსახურება სხვადასხვა კატეგორიისა და რეჟიმის მქონე დაცული ტერიტორიის არსებობა.

დღეისათვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი და დაცული ლანდშაფტი.

ეროვნული პარკი - ეროვნული პარკისათვის საჭიროა დიდი ბუნებრივი ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა.

ეროვნული პარკი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი, აღკვეთილი,მსოფლიოს მემკვიდრეობის უბანი) და (ან) თვითონ ითავსებდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიის კატეგორიას.

ბუნების ძეგლი - ბუნების ძეგლი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დასაცავად (მაგალითად, იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, როგორებიცაა კანიონები, ჩანჩქერები და ა.შ. მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები, და სხვ.). ყაზბეგში გვაქვს შემდეგი ბუნების ძეგლები: ჯვრის ტრავერტინები, აბანოს ბუყბუყა ტბა, ქეთრისის მინერალური ვოკლუზი,სახიზნარის კლდე.

დაცული ლანდშაფტი - დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი,ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული გარემოს დასაცავად და სასიცოცხლო გარემოს შესანარჩუნებლად. დაშვებულია რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა. დაცულ ლანდშაფტში შეიძლება იყოს კერძო საკუთრება, მოიცავდეს დასახლებებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2021 წლიდან დაარსდა თრუსოს დაცული ლანდშაფტი. კანონის მიხედვით, დაცული ლანდშაფტი ისტორიული და ესთეტიური ღირებულებით გამორჩეულ ტერიტორიაზე არსდება. თრუსოს დაცული ლანდშაფტი, სწორედაც უნიკალურია თავისი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებით.

რა არის კულტურული მემკვიდრეობა ?

კულტურული მემკვიდრეობა ის სიმდიდრეა, რომლეიც წინაპრებისგან გვერგო და რომლის მესაკუთრენიც ყველანი ვართ. ეს არის ადამიანის არსებობის, მისი სამყაროსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოხატულება, ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო, რომელიც ქვეყნის სახეს განსაზღვრავს და თითოეულ ჩვენგანს იმ განსაკუთრებულ მუხტს სძენს, რომელიც მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემული ღირებულებების უფაქიზეს ერთობლიობას შეიძლება გააჩნდეს.

კულტურული მემკვიდრეობა წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთან მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს.

რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება ?

კულტურული მემკვიდრეობა ის საფუძველია, რომელიც გვამოძრავებს, წინსვლისკენ გვიბიძგებს, ჩვენს იდენტობას განაპირობებს და საკუთარ თავში რწმენას გვაძლევს. ეს არის გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყარო, რომელსაც გაშიფვრა, გაცხადება და მომავალი თაობისათვის გადაცემა სჭირდება.

თითოეულ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი, პასუხისმგებლობა და უფლება მემკვიდრეობის დაცვისა და პატრონობის საქმეში.

კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს სოციალური ჯგუფების თვითმყოფადობას იგი ადგილობრივი თემის, ერისა თუ ქვეყნის ისტორიული, მხატვრული, ესთეტიკური, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, სამეცნიერო და სხვა ღირებულებების მატარებელია. შესაბამისად, სოციალური ჯგუფები საკუთარ იდენტობას/ თვითმყოფადობას ინარჩუნებს

კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით, იქნება ეს მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობა.

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია ქვეყნისა თუ ადგილობრივი თემის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

აუცილებელია, კულტურული მემკვიდრეობის გააზრება არა მხოლოდ ჩვენი წარსულის მონაპოვრად, არამედ როგორც აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელ ნაწილად.

რა საფრთხეები დგას კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ?

კულტურული მემკვიდრეობა არ არის მუდმივი, მისი დაზიანება შეუქცევადი პროცესია, კულტურული მემკვიდრეობა ზიანდება, ფიზიკური, ბიოლოგიური ან ქიმიური ზეგავლენების შედეგად, ან ადამიანის მიერ. საფრთხეები რისკის ქვეშ აყენებს ნაგებობებს, ძეგლებს, ისტორიულ და არქეოლოგიურ ადგილებს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ერთ-ერთი საფრთხეა მისი მიტოვება/ან უყურადღებობა. როცა შენობა აღარ გამოიყენება კონკრეტული დანიშნულებით. მკვეთრად იზრდება მისი ცვეთის ხარისხი, რაც საბოლოოდ იძლევა სავალალო სურათს ძეგლის განადგურების სახით.

დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის სახეები

მონაწილეობის სახე	განმარტება
ინფორმირება	გადაწყვეტილების მიღება ,,ზემოდან ქვემოთ‘‘. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილ ქმედებებზე ან უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მათი განხილვის ან რაიმეს შეცვლის შესაძლებლობის გარეშე.
კონსულტაცია	დაინტერესებულ მხარეებს წარედგინებათ გადაწყვეტილების პროექტი ან გეგმა და ეძლევათ მოსაზრებებისა და შენიშვნების გამოხატვის საშუალება, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ მათ გაითვალისწინებენ.
ერთობლივი გადაწყვეტილება	დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა დისკუსიის ინიციატორი, აწესებს საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება დაინტერესებული მხარეების ზეგავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.
ერთობლივი ქმედება	ორივე მხარე თანაბრად მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში და ინაწილებს პასუხისმგებლობას მათ განხორციელებაზეც.
თემის ინტერესების მხარდაჭერა	საზოგადოების მონაწილეობის მაქსიმალური დონე-გადაწყვეტილების მიღება ,,ქვემოდან ზემოთ‘‘ მიდგომით. თემი იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და ასევე პასუხისმგებელია მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე. ექსპერტების ან შესაბამისი სამსახურების როლი იმაში მდგომარეობს, რომ თემს მიაწოდონ ინფორმაცია, გაუწიონ ექსპერტული დახმარება, და ასევე გარკვეული რესურსებით დახმარებაც, იმისათვის, რათა თემმა ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი
2. „ორუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი
3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გზამკვლევი. 2017
4. Synthesised and edited by Hamilton, Lawrence and McMillan, Linda (2004). Guidelines for Planning and Managing Mountain Protected Areas. IUCN, Gland, Switzerland and Cambridge.
5. www.cbd.int



ISBN 978- - - -3

LOMEKI